



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

[Handwritten signature] ზურაბ ზუცხრიკიძე

„6“ „*[Handwritten month]*“ 2013 წელი

ვგზ 2

თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის გამწვანების ღონისძიებების (მწვანე საფარის
მოვლა-პატრონობა, სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა, ქალაქის გამწვანების
მოვლა-პატრონობა, ქალაქში სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა, ქ.ქუთაისში
დავით აღმაშენებლის გამზირის გამოყოფილი ზოლის გამწვანებისა და
კეთილმოწყობის პროგრამა) შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში *ლ 11/20*
(01/01/2009-31/12/2011)

2013 წელი

სარჩევი

შესავალი	3
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	4
აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები.....	5
შესყიდვების მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა.....	7
გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები	8
2009-2011 წლებში არსებული კონტროლის ნაკლოვანებები.....	12

შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2012 წლის 20 იანვრის №7/39 წერილი

აუდიტის ობიექტი - ქალაქ ქუთაისის მერია. იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი რუსთაველის გამზ. №3

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე

შემოკლებანი:

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია - მერია

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტი - ბიუჯეტი

ერთ პირთან მოლაპარაკება - ეკმ

სახელმწიფო შესყიდვა - შესყიდვა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება - ხელშეკრულება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს

დამატებული ღირებულების გადასახადი - დღგ

გამწვანების პროგრამის მოკლე მიმოხილვა

ქ. ქუთაისში გამწვანების პროგრამის ძირითადი მიზანია, „ქალაქის იერსახის გაუმჯობესება და ეკოლოგიური საკითხების მოგვარება,“ რომელიც მიიღწევა ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის, ექსპლოატაციისა და არსებული სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებებით.

აღნიშნული ღონისძიებები მოცავს:

1. ქალაქის სკვერების, ბაღების, გაზონების, ფერდობებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობას (მწვანე საფარის მუდმივი განახლება, განადგურებული კორდის აღდგენა, დეკორატიული და მრავალწლიანი მცენარეების განაშენიანება).
2. მწვანე ნარგავების შეძენასა და მოვლა-პატრონობას (ხე-მცენარეთა, ბუჩქებისა და ყვავილების შეძენა, შეწამვლა, გასხვლა, ქალაქის დასუფთავებისა და მცენარეთა განაშენიანების ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა).
3. სკვერების სარეაბილიტაციო ღონისძიებებს (არსებული სკვერების კაპიტალური შეკეთება, სანაგვე ურნების შეძენა, ახალი საბაღე ძელსკამების დამზადება და არსებულის შეკეთება).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა


ქალაქის გამწვანების პროგრამა 2009-2011 წლებში დაფინანსდა მხოლოდ ქ. ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სულ დამტკიცებული ბიუჯეტით დაფინანსება განისაზღვრა 2105,8 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად¹ დაზუსტებულმა ბიუჯეტმა – 1903,8 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 1632,8 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა მწვანე საფარის მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამებში გახარჯულია შემდეგნაირად:

¹ 2009 წელს განხორციელდა - 2 ცვლილება, 2010 წელს - 1 ცვლილება, 2011 წელს - 4 ცვლილება.

- ✓ მწვანე საფარის მოვლა პატრონობა 1,037,1 ათასი ლარი
- ✓ სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა 595,7 ათასი ლარი

დიაგრამა №1

ქ.ქუთაისის გამწვანების პროგრამის ბიუჯეტი (ათასი ლარი)



აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

2009-2011 წლებში გამოვლენილი სისტემური ნაკლოვანებები

- გამწვანების ღონისძიებებზე მერიის მიერ შექმნილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანების გამოვლენას.
- ტენდერების ნაჩქარევად და არასრულყოფილად მომზადება-ჩატარება. აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოებები, რომ აუდიტის პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების 36%-ს დასჭირდა დამატებითი დანართი შეთანხმება, რომელშიც ბუნდოვნადაა ასახული შეთანხმების საფუძველი და აუცილებლობა.

² მათ შორის 17,2 ათასი ლარის საკასო ხარჯი გაწეულია 2012 წელს.

- სატენდერო კომისიის მიერ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად ხდებოდა შეფასების კრიტერიუმებით ქულების მინიჭება და გამარჯვებულის გამოვლენა.

გამოვლენილი კანონშეუსაბამოებები და უზუსტობები

- 2009-2010 წლებში შპს „აღმდგენმა“ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს აქტებში სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მომსახურების ერთეულის ფასებს, რომელიც ითვალისწინებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ გადასახადებს, კიდევ დაარიცხა დღგ, რამაც 18%-ით, ანუ აუდიტის პერიოდში 17.0 ათასი ლარით გააძვირა და აუნაზღაურდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება, შედეგად აღნიშნული თანხის შესაბამისად შემცირდა შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა.
- 2010-2011 წლებში გამწვანების სამუშაოების შესყიდვისას შპს „აღმდგენის“ მიერ წარმოდგენილი სახელშეკრულებო ღირებულება და შესაბამისი დეტალური ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, რისი მეშვეობითაც შპს „აღმდგენს“ ზედმეტად აუნაზღაურდა 6,7 ათასი ლარი.
- 2010 წლის თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებში შპს „ქალაქსერვისმა“ შესრულებულ სამუშაოებზე არასწორად დაარიცხა დღგ რის გამოც ზედმეტად აუნაზღაურდა 2,8 ათასი ლარი.
- 2009 - 2010 წლებში შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული გაზრდილი ერთეულის ფასებით შპს „აღმდგენს“ ზედმეტად აუნაზღაურდა 5,1 ათასი ლარი.
- 2009 წელს შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული გაზრდილი ერთეულის ფასებით შპს „იმერეთმშენ-2000-ს“ ზედმეტად აუნაზღაურდა 12,5 ათასი ლარი.
- 2009-2011 წლებში შპს „ფლორასა“ და შპს „აღმდგენის“ მიერ თვითმცლელი მანქანებიდან მიღება-ჩაბარებების მიხედვით გაწერილია ნაგვის ჩამოცლა

ხელით, რის შედეგადაც ბიუჯეტიდან არაეკონომიურად გაიწა 4,7 ათასი ლარი.

- 2011 წელს შპს „ქალაქსერვისთან“ გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოსა და მომსახურების ერთეულის ღირებულებები აღემატება ტენდერის გზით გაფორმებული ხელშეკრულების ერთეულის ღირებულებებს. ბიუჯეტიდან გადახდილი 4,0 ათასი ლარიდან 2860 ლარი (71,5%) წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.

შესყიდვების მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა

2009–2011 წლებში სკვერების კეთილმოწყობისა და ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პარტონობის და ექსპლოატაციის ღონისძიებებზე განხორციელებულია სულ 22 შესყიდვა. მათ შორის, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით 8, ტენდერის საშუალებით - 14. წლების მიხედვით შესყიდვები განხორციელებულია შემდეგნაირად:

ცხრილი №1

გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისას გამოყენებული შესყიდვის საშუალებები და საკასო ხარჯი

წელი	ერთ პირთან მოლაპარაკება (გამარტივებული შესყიდვა)		ტენდერი		სულ
	რაოდენობა	თანხა (ათასი)	რაოდენობა	თანხა (ათასი)	თანხა (ათასი)
2009	2	26,1	3	379,2	405,3
2010	3	18,1	2	108,4	126,8
2011	3	629,7	9	454,1	1083,8
სულ	8	673,9	14	941,7	1615,6

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

1. შპს „იმერეთმშენი-2000“ - კიკვიძის სახელობის სკვერის კაპიტალური შეკეთება

2009 წელს შპს „იმერეთმშენი 2000“-თან გაფორმებულია ხელშეკრულება კიკვიძის სახელობის სკვერის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე, თანხით 278,0 ათასი ლარი. სამუშაოები შესრულებულია სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობების შემცირებით და სანაცვლოდ სამუშაოების ერთეულის ღირებულების გაზრდით. სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გრანიტის ფილების დაგება სილა ბეტონის ხსნარზე უნდა შესრულებინათ 620 მ²-ზე 81,2 ათასი ლარის ღირებულებით (ერთი მ²-ის ღირებულება შეადგენდა 131 ლარს). სამუშაოების შესრულებისა და ანაზღაურების აქტის მიხედვით აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია 605 მ²-ზე 87,9 ათასი ლარის ღირებულებით (ერთეულის ფასმა შეადგინა ერთ მ²-ზე 145,2 ლარი). ხელშეკრულების პირობების ერთეული ფასის გათვალისწინებით ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე უნდა გადახდილიყო 79,3 ათასი ლარი, ნაცვლად 87,9 ათასი ლარისა, ანუ ზედმეტად იქნა გადახდილი 8,6 ათასი ლარი. ანალოგიურად 130 გრძ.მ გრანიტის ბორდიულის მოწყობის ღირებულება შეადგენდა 7,3 ათასი ლარს, ფაქტიურად აღნიშნული სამუშაო შესრულდა 120 გრძ.მ-ზე 8,0 ათასი ლარის ღირებულებით. სახელშეკრულებო პირობების ერთეულის ფასის გათვალისწინებით ზედმეტად იქნა გადახდილი 0,7 ათასი ლარი. ამ ორ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების შემცირებით და ერთეული ფასის გადიდებით (დარიცხვების გათვალისწინების გარეშე) ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 9,2 ათასი ლარი. ხოლო დარიცხვებით (ზედნადები ხარჯი – 8%, გეგმური დაგროვება – 6%, დღგ – 18%) სულ შეადგინა 12,5 ათასი ლარი.

2. შპს „აღმდგენი“ - მწვანე საფარის მოვლა პატრონობის ღონისძიებები

2010 წელს მწვანე საფარის მოვლა-პატრონობაზე გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო კომისიამ, შეფასების კრიტერიუმებით არასწორად მოახდინა გამარჯვებულის გამოვლენა. კერძოდ, სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა ორ

ლოტად. შეფასების კრიტერიუმები იყო: 1. მიწოდების ფასი; 2. გამოცდილება; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- პირველ ლოტზე მონაწილეობდა შპს „ქალაქსერვისი“ შემოთავაზებით 60,0 ათასი ლარი და შპს „ფლორა“ - 58,8 ათასი ლარი.
- მეორე ლოტზე შპს „ქალაქსერვისი“- 50,0 ათასი ლარი, შპს „აღმდგენი“ 48,4 ათასი ლარი.

შპს "ფლორას" გამოცდილება აქვს 2004 წლიდან უშუალოდ მწვანე საფარის მოვლა-პატრონობაში და სამუშაოს შესასრულებლად ფლობდა ყველა სახეობის საბაღე ინვენტარს.

შპს „ქალაქსერვისის“ ამ სამუშაოების შესრულებაზე გამოცდილება და საჭირო ინვენტარი არ გააჩნდა.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით პირველ ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ქალაქსერვისი,“ რომელსაც მიწოდების მეტი ფასი ჰქონდა, არ გააჩნდა სამუშაოს შესრულების გამოცდილება და შესაბამისი მატერიალური ბაზა კონკურენტისგან განსხვავებით.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით მეორე ლოტზე გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „აღმდგენი,“ რომლის მიერ მიწოდების ღირებულებად დაფიქსირებული იყო 48,4 ათასი ლარი (1,6 ათასი ლარით ნაკლები მის კონკურენტთან შედარებით). წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების და ერთეული ღირებულების გათვალისწინებით მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებდა 54 ათას ლარად (4 ათასი ლარით მეტად ვიდრე კონკურენტი შპს „ქალაქსერვისი“), ნაცვლად 48,4 ათასი ლარის. შპს „აღმდგენმა“ მერიას მომსახურება მიაწოდა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების უცვლელად, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების შემცირებით. საბოლოო ჯამში არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გარკვეული ნაწილი, რომელთა ღირებულება 5,6 ათას ლარს აჭარბებს. მერიის მიერ სახელშეკრულებო თანხა სრულად იქნა ანაზღაურებული.

ანალოგური შემთხვევა დაფიქსირდა 2011 წელს, შპს „აღმდგენმა“ ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის შესყიდვისას სატენდერო წინანადადების საბოლოო ფასით 47,0 ათასი ლარი დააფიქსირა მაგრამ მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის გადათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ იგი შეადგენდა 48.1 ათას ლარს. რაც სატენდერო წინანადადების ფასზე 1.1 ათასი ლარით მეტია და ანაზღაურებულია მერიის მიერ.

❖ ქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის შესყიდვაზე შპს „აღმდგენთან“ გაფორმებულია ხელშეკრულებები:³ 2009 წელს საერთო ღირებულებით 58,5 ათასი ლარი, ხოლო 2010 წელს - 53,6 ათასი ლარი. ამ ხელშეკრულებების შესრულებისას შპს „აღმდგენს“ ზედმეტად აუნაზღაურდა 22,1 ათასი ლარი. კერძოდ:

1. შპს „აღმდგენს“ სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვის ბოლოს ცალკე გრაფებში მითითებული არა აქვს შესაბამისი დარიცხვები და დღე, ვინაიდან სატენდერო პირობების თანახმად სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავდა ყველა ხარჯსა და გადასახადს (მათ შორის დღე-ს). ამიტომ მათ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ სამუშაოთა ერთეულის ფასებისათვის აღარ უნდა დაერიცხათ დღე, რამაც 18%-ით გააძვირა შესრულებული სამუშაოების ღირებულება. რის შედეგადაც 2009-2010 წლებში ზედმეტად აუნაზღაურდა 17,0 ათასი ლარი. რადგან შპს „აღმდგენს“ აუნაზღაურდა მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხა, ამიტომ სამუშაოთა ფასების გაძვირებამ გამოიწვია შესაბამისი ოდენობის სამუშაოთა მოცულობის შემცირება.
2. შპს „აღმდგენმა“ სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების ერთეულის ღირებულებები გაზარდა და შეცვლილი ფასებით მიაწოდა მომსახურება მერიას, შედეგად დამატებით აუნაზღაურდა 5,1 ათასი ლარი.⁴

³ 2009 წელს ეკმ - 13,5 ათასი ლარი, ტენდერით - 45,0 ათასი ლარი, 2010 წელს ეკმ- 5,2 ათასი ლარი, ტენდერით - 48,4 ათასი ლარი.

⁴ 2008 წლის წინასწარი აუდიტით გამოვლინდა, რომ შ.პ.ს „აღმდგენს“ ბიუჯეტიდან ზედმეტად აუნაზღაურდა და უკან დაბრუნებას ექვემდებარება 9,9 ათასი ლარი.

შპს „ქალაქსერვისი“ - მწვანე საფარის მოვლა პატრონობის ღონისძიებები

2010 წელს შპს „ქალაქსერვისი“ მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის მომსახურების მიწოდებაზე გაუფორმდა ხელშეკრულება 60,0 ათასი ლარის ღირებულებით. დღგ-ს არასწორად დარიცხვით მიმწოდებელს თებერვლის, მარტისა და აპრილის თვეებში ზედმეტად აუნაზღაურდა 2,8 ათასი ლარი, რამაც შესაბამისი ღირებულებით გამოიწვია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის შემცირება.

2011 წლის დასაწყისში ტენდერის გამოცხადებამდე, მწვანე საფარის მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის გზით, წინა წელს ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან. შპს „ქალაქსერვისი“ გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებულ შესყიდვაში ხელშეკრულება გაუფორმდა 4,0 ათას ლარზე. გასული წლის ფასებთან შედარებით ერთიდაიგივე სამუშაოზე ადგილი ჰქონდა ერთეულის ფასების ზრდას. მაგალითად: დაგვა-დასუფთავების სამუშაოებზე ერთეულის ფასები გაზრდილია 12-ჯერ, ნაგვის გაზიდვის სამუშაოებზე 1,8-ჯერ. შედეგად, ბიუჯეტიდან გადახდილი 4,0 ათასი ლარიდან ერთეულის ფასების გაზრდით 2,8 ათასი ლარი (71,5%) არაეკონომიურად არის გახარჯული.

3. შპს „ელბა“ - დავით აღმაშენებლის გამზირზე ველობილიკის მოწყობის თანმდევი სამუშაოები

2011 წელს შპს „ელბასთან“ გაფორმდა 746,0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება „დავით აღმაშენებლის გამზირზე ველობილიკის მოწყობის თანმდევი სამუშაოების“ შესყიდვაზე. მიმწოდებელმა ფაქტიურად შეასრულა 601,9 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო მერიამ აუნაზღაურა 622,7 ათასი ლარი (20,8 ათასი ლარით მეტი). ქ.ქუთაისის მერიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებაზე, თუმცა სასარჩელო განცხადებაში დასაბრუნებელი თანხა 6,7 ათასი ლარით ნაკლები მიუთითა. აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით მერიის შესაბამის სამსახურს აუდიტის მიმდინარეობისას მიეცა რეკომენდაცია. ქ. ქუთაისის მერიამ დამატებითი სარჩელი შეიტანა სასამართლოში 6,7 ათასი ლარის დაბრუნების თაობაზე. ქუთაისის საქალაქო

სასამართლომ 2012 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით მიმწოდებელს დააკისრა აღნიშნული თანხის გადახდა.

4. შპს „გოგსერვისი“ - ქოთნის ყვავილების შეძენისა და ჩარგვის სამუშაოები

2011 წლის 24 მაისს შპს „გოგსერვისთან“ გაფორმდა 26,0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება „ქოთნის ყვავილების შეძენისა და ჩარგვის სამუშაოების“ შესყიდვაზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამუშაოების შესრულებას მთელი წლის მანძილზე. სექტემბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში არანაირი მოვლა-პატრონობის სამუშაოები არ განხორციელებულა. ყვავილების მოვლა-პატრონობის სამუშაოების განხორციელებისათვის, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 7 თვის სამუშაოს ღირებულება ანაზღაურდა 5 თვეში, რის გამოც ზედმეტად გადახდილია 740 ლარი.

2009-2011 წლებში არსებული კონტროლის ნაკლოვანებები

გამწვანების პროგრამის ღონისძიებებზე ქ.ქუთაისის მერიის მიერ შემუშავებული კონტროლის მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებების გამოვლენას. კერძოდ:

- სახელშეკრულებო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მოვალეობას წარმოადგენს შეადაროს შესრულებული სამუშაოები სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებს (მოცულობა, ხარისხი).
- შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება „მიმწოდებელის“ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების საფუძველზე, რომელსაც ადასტურებს ინსპექტირების ჯგუფი.

კონტროლის ეს მექანიზმები სუსტია, რადგან არ ხდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ნაკისრი მოვალეობების სათანადოდ შესრულება. ამ ნაკლოვანებებმა გამოიწვია ბიუჯეტიდან ზედმეტი თანხების გაცემა. კერძოდ:

მიმწოდებლის მიერ თვითნებურად ერთეულის ღირებულების გაზრდა, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების შემცირება და ა.შ.

რეკომენდაცია

გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით, სასურველია ქუთაისის მერიამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად. უზრუნველყოს თანამშრომელთა მიერ განხორციელებული საქმიანობის სამსახურების დამტკიცებულ და სამოქმედო დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე

ხელმოწერა




თარიღი 4.03.13

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი გოგოლიძე

ხელმოწერა




თარიღი 04.03.2013

აუდიტორ-ასისტენტი:

ირმა ხეცურიანი

ხელმოწერა




04.03.2013
თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ლელა მიქაძე

ხელმოწერა




04.03.2013
თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თეა არველაძე

ხელმოწერა



04.03.2013
თარიღი